ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4720959

ნომერი: AR1710038

თარიღი : 30.09.2019

გაცემის თარიღი : 22.10.2019

გაცნობის თარიღი : 22.10.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შანდორ პეტეფის N15 , წულუკიძის N20 , თბოსადგურის მიმდებარედ , (ნაკვეთი N 005/033);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამ თავაძე პ/ნ 01026008927
- თბილისი მ. და ა.ბალანჩივაძეების ქ. N 1 ბ. 77

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2019 წლის 30 სექტემბრის №AR1710038 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის განსაზღვრის და დოკუმენტაციის წარმოდგენის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 30 სექტემბერს №AR1710038 განცხადებით მომართა გურამ თავაძემ და მოითხოვა სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის

№4022939 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის №4022939 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - ისანი, შანდორ პეტეფის ქუჩა №15, წულუკიძის ქუჩა №20-ში, (ს/კ N01.17.10.005.088) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2018 წლის 29 ოქტომბრის №4237751 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 29 ოქტომბრიდან 2020 წლის 29 ოქტომბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2018 წლის 19 ივნისის №4022939 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს აღნიშნულის შესწორებას, კერძოდ: განმცხადებელს სურს ავტოსადგომების ფართობად 1691.6კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირდეს 1719,20კვ.მ, ასევე განმარტავს, რომ 2018 წლის 19 ივნისის №4022939 ბრძანებით შეთანხმებული გეგმებზე საცხოვრებელი და საზაფხულო ფართობები არასწორად იქნა მითითებული და ითხოვს აღნიშნულის შესწორებას.
იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება საჭიროა გეგმებზე სქემატურად დაფიქსირდეს რომელია გარე ავტოსადგომი და რომელი ავტოსადგომი შედის შენობის ფართში. ასევე, საჭიროა, განიმარტოს რომელი ავტოსადგომები იგულისხმება გადახურულ ავტოსადგომებში და ცალკ-ცალკე დაფიქსირდეს გარე ავტოსადგომების და შენობაში არსებული ავტოსადგომების საერთო ფართები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაავალოს განმცხადებელს 05 (ხუთი-) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს განახლებული დოკუმენტაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაევალოს განმცხადებელს 05 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს განახლებული დოკუმენტაცია, კერძოდ, საჭიროა გეგმებზე სქემატურად დაფიქსირდეს რომელია გარე ავტოსადგომი და რომელი ავტოსადგომი შედის შენობის ფართში. ასევე, საჭიროა, განიმარტოს რომელი ავტოსადგომები იგულისხმება გადახურულ ავტოსადგომებში და ცალკ-ცალკე დაფიქსირდეს გარე ავტოსადგომების და შენობაში არსებული ავტოსადგომების საერთო ფართები.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2019 წლის 30 სექტემბრის №AR1710038 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.